ვამტკიცებ:

შპს „თელმიკო“-ს საოპერაციო დირექტორი

ს. პოლუშკინი

„____“ _____ 2026წ.

ტექნიკური დავალება
შპს “თელმიკო”-ს შესყიდვაზე
№ 683.26.00112 «ლიცენზია Qlik Sense»
2026 წლის შწკპ

1. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერა

1.1. შესასყიდი მომსახურების დასახელება და მოცულობა

ანალიტიკური სისტემა Qlik Sense Enterprise-ის 1 წლიანი ლიცენზიები (სპეციფიკაცია იხილეთ დანართში #1).

1.2. შესრულების ვადები:

ლიცენზიების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2026 წლის 30 ოქტომბერს.

2. ზოგადი მოთხოვნები საქონლის მიმართ

2.1. საქონლის გამოყენების ადგილი

შპს „თელმიკოს“ თანამშრომელთა სამუშაო ადგილები.

2.2. მოთხოვნები საქონლის მიმართ

ანალიტიკური სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ, მის მიერვე განსაზღრული მხარდაჭერის პოლიტიკის სტანდარტული წესების (იხილეთ დანართში #2 - Qlik Support Policy) შესაბამისად და მწარმოებლის მხარდაჭერის პორტალის https://support.qlik.com გამოყენებით. ტექნიკური მხარდაჭერა მიეწოდება შემსყიდველს ანალიტიკური სისტემის ლიცენზიის ნასყიდობის საფუძველზე, არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას და დამატებით ანაზღაურებას ლიცენზიის ფასის გარდა.

2.3. მოთხოვნები საგარანტიო ვადის მიმართ ან/და ხარისხის გარანტიის წარდგენის მოცულობის მიმართ

მონაწილემ უნდა უზრუნველყოს პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების ვადისთვის მოქმედი საბოლოო ვერსიების მიწოდება.

3. მოთხოვნები საქონლის მიწოდების შესრულების მიმართ

3.1. მოთხოვნები საქონლის მიწოდების მოცულობის მიმართ

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სპეციფიკაციაში მითითებული შესასყიდი საქონლის მიწოდება (დანართი #1).

3.2. მოთხოვნები შესაძენი უფლებების გაგზავნისა და მიწოდების მიმართ

ლიცენზიის ელექტრონული ასლები შემსყიდველს ეგზავნება შემსყიდევლის წარმომადგენელს ელექტრონულ ფოსტაზე: it@telmico.ge.

4. მოთხოვნები ანგარიშსწორების წესის მიმართ

ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, თანხის გადარიცხვის გზით მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიმწოდებლის მიერ სრული დოკუმენტაციის (ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა და ორივე მხარის მიერ დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის (ორიგინალის) წარდგენის მომენტიდან 30-ე კალენდარულ დღეს, ხოლო თუ გადახდის თარიღი ემთხვევა შაბათ-კვირას, გადახდა ხორციელდება შაბათ-კვირის მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

5. ტექნიკური დავალების დანართები

- დანართი #1 - მისაწოდებელი საქონლის სპეციფიკაცია
- დანართი #2 - Qlik Support Policy

6. მოთხოვნები შესყიდვის მონაწილეების (მიმწოდებლების) მიმართ

6.1. შესყიდვის მონაწილემ უნდა წარადგინოს დოკუმენტი, რომ არის მითითებული ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი ან რეგისტრირებული უნდა იყოს პარტნიორთა სიაში კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
6.2. შესყიდვის მონაწილე მეწარმე სუბიექტად რეგისტრირებული უნდა იყოს არანაკლებ 1 წლით ადრე შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობაზე განაცხადის გაკეთებამდე.

საკონტაქტო პირი:
ვ.რევიშვილი - საკონტაქტო ტელეფონი: +(995) 5 99 874540

შეთანხმებულია:

შპს "თელმიკო"-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

ვ. რევიშვილი

დანართი #1

შესასყიდი საქონლის დასახელება და სპეციფიკაცია:

Qlik Sense Enterprise-ს ერთ წლიანი ლიცენზიები:

- Qlik Sense Enterprise Client-Managed Pro User (On-premises) – 5 მომხმარებელზე
- Qlik Sense Enterprise Client-Managed Analyzer User (On-premises) – 20 მომხმარებელზე